

შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ 31 დეკემბრით დასრულებული
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	37 823	65 454	19 742	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	165 351	133 517	245 728	3.2.
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	1 736	5 527	2 819	3.3.
მარაგები	201 583	228 835	228 318	3.4.
- მზა პროდუქცია	223	2 284	3 267	3.4.
- სხვა	201 360	226 551	225 051	3.4.
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	51 169	9 345	9 583	3.5.
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	534 614	557 177	586 216	3.6.
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	810 298	810 297	743 110	3.5.
სულ აქტივები	1 802 574	1 810 152	1 835 516	
ვალდებულებები				
ფინანსური ოჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	31 146	103 886	193 494	3.7.
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7 619	4 953	2 503	3.8.
საგადასახადო ვალდებულებები	854 426	25 165	21 340	3.9.
გამოუმუშავებელი შემოსავალი	988	61		3.12.
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	71 732	64 176	59 914	3.11.
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	251 706	309 910	375 838	3.11.
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები		810 572	1 037 721	3.12.
სულ ვალდებულებები	1 217 617	1 318 723	1 690 810	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')				3.13.
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	584 957	491 429	144 706	3.13.
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	584 957	491 429	144 706	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 802 574	1 810 152	1 835 516	

შპს „პერ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ დირექტორი


ირმა ბუჩუკური

საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	2 279 449	2 514 140	3.14.
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
სხვა	2 279 449	2 514 140	3.14.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 264 678)	(1 347 244)	3.14.
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	1 014 771	1 166 896	
სხვა შემოსავალი	3 132	25 362	3.15.
დასაქმებულთა ანაზღაურება	(133 563)	(111 554)	3.17.
ცვეთა და ამორტიზაცია	(32 090)	(33 640)	3.17.
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი:	(24 336)	(28 030)	3.18.
იჯარის ხარჯი			3.17.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(522 003)	(439 328)	3.17.
სულ საოპერაციო ხარჯები	(708 860)	(587 190)	
საოპერაციო მოგება	305 911	579 706	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		3 328	3.15., 3.18.
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(28 261)	3.15., 3.18.
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერ	305 911	554 773	3.13.
მოგების გადასახადი	(31 857)	(31 207)	3.19.
მოგება/(ზარალი)	274 054	523 566	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	274 054	523 566	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	274 054	523 566	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	491 429	144 706	3.13.
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(180 526)	(176 843)	3.13.
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	584 957	491 429	3.13.

შპს „კურ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ დირექტორი

ირმა ბუჩუკური



2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2006 წლის 16 ივნისს ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის ნომერი 6095/002-შპს. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 202341787, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ნაძალადევის რაიონი, ტრიკოტაჟის ქ. #3; ვ. ნინუას ქ. # 3.. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2007 წლის 11 თებერვალს.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ლევან ბუჩუკური (პ.ნ. 01023004508).

1.3. კომპანიის დირექტორია ირმა ბუჩუკური (პ.ნ. 01022012937).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პურის წარმოება, საბითუმო ვაჭრობა პური და პურფუნთუშეული ნაწარმით.

1.5. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობები - 5%;

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

კავშირგაბმულობის საშუალებები - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 20%;

ავეჯი - 30%;

ინვენტარი - 20%;

სხვა ავტოტრანსპორტი - 20%;

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2024 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსი, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი;

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	14442	8407	260
ლარი საბანკო ანგარიშებზე	11278	46885	10893
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	12103	10162	8590
სულ:	37823	65454	19742

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	165351	133517	245728
სულ:	165351	133517	245728

2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიის დებიტორებს შეადგენდნენ 44 რეზიდენტი იურიდიული და და ფიზიკური პირები.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1736	5527	2819
სულ:	1736	5527	2819

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	200573	224410	224768
მზა პროდუქცია	223	2284	3267
საწვავ-საცხები მასალები	787	2141	282
სულ:	201583	228835	228318

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული მომოსახურებები	13	13	12.7
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	19132	9332	9570.47
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	32024		
ადიარებული პრეტენზიები (დარიცხული გადასახადები, რომელიც არ არის ადიარებული, დავის პროცესშია)	810298	810297	743110
სულ:	861467	819642	752693

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიწა ქ.თბილისი წინუას ქ. 3. საკ.კოდი 01.12.12.001.186. (651 კვმ)	210000.00	210000.00	210000.00
სულ:	210000	210000	210000

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
შენობები	270744	284994	299994
მანქანა-დანადგარები	33356	35323	44560
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	2567	3208	4011
კავშირგაბმულობის საშუალებები	927	1159	1985
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	1352	1689	2112
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	1313	1641	2051
ავეჯი	625	490	700
ინვენტარი	540	675	865
სხვა ავტოტრანსპორტი	7357	9196	11805
1000 ლარამდე ღირებულების ძს	5833	8802	8134
სულ:	324614	347177	376216

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2024 წლის ბოლოს - 412 128.44 ლარს;

2023 წლის ბოლოს - 383 242.15 ლარს.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	31146	103886	193494
სულ:	31146	103886	193494

31.12.2024 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 13 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.8. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	7619	4953	2503
სულ:	7619	4953	2503

3.9. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	44128	25165	21340
სულ:	44128	25165	21340

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2024 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც მოხდა 2025 წლის იანვარში.

3.10. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
პაშა ბანკი სესხი №0002753.001-001	71732	64176	59914
სულ:	71732	64176	59914

ყველა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილია.

3.11. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
პაშა ბანკი სესხი №0002753.001-001	251706	309910	375838
სულ:	251706	309910	375838

„პაშა ბანკიდან“ აღებული სესხი არის აშშ დოლარებში. 2024 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 115233.79 USD-ს.

3.12. სხვა ვალდებულებები:

სხვა ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე		275	294608
გადახდილი ავანსები	988	61	3
დარიცხული გადასახადები, რომელიც არ არის აღიარებული, დავის პროცესშია)	810298	810297	743110
სულ:	811286	810633	1037721

2022 წელს საგადასახადო შემოწმების შედეგად საწარმოს დარიცხული გადასახადები საწარმოს მიერ საანგარიშგებო პერიოდშიც არ არის აღიარებული, რადგანაც საგადასახადო დავის პროცესი არ დასრულებულა.

3.13. საკუთარი კაპიტალი:

საკუთარი კაპიტალი	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი			0
გაუნაწილებელი მოგება	584957	491429	144706
სულ:	584957	491429	144706

2024 წელი საწარმომ დაასრულა მოგებით 305 911 ლარი. წინა პერიოდის 491 429 ლარი დაგროვილი მოგებიდან გაანაწილა 180 526 ლარი დივიდენდი, (31 857 ლარი მოგების გადასახადი), რის შემდეგაც საწარმოს გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 584 957 ლარი.

3.14. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2024 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

	2024 წელი	2023 წელი
პროდუქციის რეალიზაცია	2279449	2514140
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1264678	-1347244
სულ:	1014771	1166896

3.15. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2024 წელი	2023 წელი
დადებითი საკუროს სხვაობები	23493	19479
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი (დეკლარაციის დამრგვალებები)	7	25238
არასაოპერაციო მოგება მს რეალიზაციიდან	3125	118
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		6
სულ:	26625	44840

3.16. საწარმოო და მიწოდების ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასები თვითღირებულებაზე	-288450	-199468
სხვა საწარმოო ხარჯები (ძირითადი საშუალებების შენახვის ხარჯები, ნარჩენების ხარჯები, სხვა წვრილმანი საწარმოო ხარჯები)	-31476	-34332
საწარმოო სარემონტო ხარჯები	-2088	-1236
წარმოებაში ელექტროენერგიისა და გაზის ხარჯები	-139520	-157923
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯი	-5790	-4890
სხვა მიწოდების ხარჯები	-1003	-492
სულ:	-468326	-398341

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-132317	-110705
საპენსიო ფონდში გადასახადი	-5014	-848
იჯარის ხარჯები	-3529	-3787
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-710	-1067
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯები	-12820	-13022
საწვავის ხარჯები	-32090	-33640
ცვეთა და ამორტიზაცია	-12907	-10232
კომუნალური ხარჯები	-2581	-2124
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები (ავტობანქანების დაზღვევა)	-410	-773
უბედურ შემთხვევაზე თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯები	-394	-549
საბანკო ხარჯები	-2205	-9433
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (პროგრამული მომსახურება, ტექდათვალიერება და სხვა)	-204976	-186180
სულ:	-204976	-186180

3.18. არასაოპერაციო ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო დანახარჯები	-24336	-28030
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-37175	-16151
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-77	-100
არასაოპერაციო ზარალი მს რეალიზაციიდან		-2162
სხვა არასაოპერაციო ხარჯები (ზარალის ანაზღაურება, ჩამოწეილი დავალიანებები)	-596	-26000
სულ:	-62183	-72442

3.19. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2024 წელს კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 31 857 ლარი.

3.20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 2 სექტემბერს.